# მწყემსი




შე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).


№ ~~18 და~~ 19 19-20 1883—1895 1—30 ოქტომბერს


## რედაქციისაგან.

«მწყემსის» რედაქციის სტამბიდან დათხოვნილნი არიან წინეთ მყოფნი ასოთ-ამწყობნი ივანე კილაძე და იოსებ ხელაძე. ამისათვის ვთხოვ ყველას ა) სტამბისა და რედაქციის ფულები მათ არავინ გარდასცეს, არამედ პირდაპირ რედაქციაში გამოგზავნონ, ბ) ვისაც ამ სტამბასთან საქმე ჰქონდა და დღესაც სურს იქონიოს, მიიქცეს პირდაპირ სტამბასთან, ქუთაისში, ხანანაშვილის სახლებში, ნემეცის ქუჩაზე. **ყველა საბეჭდავს სტამბა იაფად და კარგად შეუსრულებს მსურველებს.** მცირეს ხანში მიღებული იქნება კენიღ და შაუერის ქარხნის გაუმჯობესებული სისტემის მწრაფლ-მბეჭდავი «მაშინა».

---

## დიადი დღესასწაული მოწამეთის მონასტერში 2 ოქტომბერს.

რა დიდებულებითაც დღესასწაულობენ კვართის დღეობას აღმოსავლეთ-საქართველოს უწინდელს სატახტო ქალაქ მცხეთაში 1 ოქტომბერს, იმნაირივე დიდებულებით დღესასწაულობენ დასავლეთ საქართველოში ორს ოქტომბერს «მოწამეთობას».

მოწამეთობას ჩვეულებრივად ყოველ წლობით დღესასწაულობენ, მაგრამ წელს დიდის ამბით შესრულდა ეს დღესასწაული, რადგან წელს ამ დღესასწაულობის რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიტანეს მშვენიერი ახალი ლუსკუმა, რომლის აღწერა ჩვენი გამოცემის წინა ნომერში იყო მოყვანილი. დღესასწაულობა დაიწყო 1 ოქტომბერს საღამოდგან. საღამოს ექვს საათზე ქუთაისიდგან მობძანდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, ალავერდის ეპისკოპოსი, რომელიც დროებით განაგებს იმერეთის ეპარქიას ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელის ავადმყოფობისა გამო. მათმა მეუფებამ თავისი კრებულის და ადგილობითი მონასტრის ძმათა თანამოსამსახურეობით შეასრულა ღამის თევითი ცისკარი. ცისკრის შესრულების შემდეგ გარდაიხადეს აკათისტოსი და მოწამეთა წმ. ნაშთნი ძველი ლუსკუმით ჩაასვენეს ახალს ლუსკუმაში. ცისკარზე მრავალი მლოცველები დაესწრო. მეორე დღეს, 2 ოქტომბერს, დილის 10 საათზე დაიწყო წირვა. მწირველი ბძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი. თანამწირველებათ იყვნენ რექტორი ქუთ. სასულიერო სემინარიისა არქიმანდრიტი დიმიტრი, არქიმანდრიტი ლეონიდი, (ინსპექტორი მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმადგენელი საზოგადოების სკოლებისა და ამავე საზოგადოების მისიონერი), ქუთაისის საკათედრო სობოროს დეკანოზი მ. გ. ცაგარეიშვილი და სხვა სამღვდელონი, წირვაზედ ქართულად გალობდენ. განიცადენის დროს არქიმანდრიტმა ლეონიდმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

წრფელთა შვენის ქება (ფსალ. 32, 1).

«დიდი და მრავალი ხალხი მოსულა დღეს ამ წმიდა ალაგს. ბრწყინვალე ტაძარს და მისს ეზოს და მიდამოებს ვერ დაუტევნიათ მლოცველთა სიმრავლე. თანაბრათ უცემს ყველას გული და ყველას აზრი ამ ჟამად მიმართულია ერთსა და იმავე საგანს. გრძნობანი, რომლებიც აღავსებენ აქ მყოფთა გულს, რომელთა მოქმედების სხივი ერთბამათ გამოსჭვივის ყველა მლოცველის სახის მეტყველებაში, ერთობ ცხადი და გარკვეულნი არიან! სულ ადვილათ, თავისუფლათ შეუძლიან კაცს მათი მიხვედრა, მათი წაკითხვა და თვით უსწრობენ მქადაგებელს სიტყვით, რომელიც ქონულობს ეკკლესიისა და მამულის ნამდვილ შვილზე ღრმა, წარუხოცელ ზეგავლენას. თვითეული თქვენგანი, დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი გონებით, სულით და გულით იმყოფება დღეს, თუ შეიძლება ამგვარათ თქმა, საღმრთო ნათლით მოსილ, არგვეთის მთავართ, დავით და კონსტანტინესთან. წარმოგიდგენიათ რა დავით და კონსტანტინეს წრფელი ცხოვრება, მათი მხურვალე სიყვარული ქრისტეს სარწმუნოებისადმი, ქრისტესთვის თავშეწირულება, სასწაულნი და ნიშნი, რომლებიც მოუხდენიათ და ახდენენ დღესაც სანუგეშოთ მორწმუნე ერისა მათი წმიდა ნაწილები, ყველანი გამსჭვალულხართ იმ რწმენით, რომ **წრფელთა შვენის ქება** და აი, ამ რწმენას ახორციელებთ, ნამდვილათ ხდით კიდეც დღევანდელ დღეს აქ შეკრებით; ამ რწმენის გამოთქმა, საჩინოთ ყოფა გიდევთ გულში, რომ ამკობთ ასე ძვირფასი, ასე საუცხოვო კუბოთი თქვენი მფარველების უხრწნელ გვამებს.

ჭეშმარიტად საქებარი და სასახელოა, ძმებო და დებო თქვენი ამგვარი საქციელი! სჩანს, ცოტათ თუ ბევრათ, ჩვეულნი ყოფილხართ საღმრთო წერილის მოძღვრების გულდადებით მოსმენას; სჩანს მტკიცეთ დაგიმარხავთ გულის სიღრმეში მოციქულის მცნება—„მოიხსენიეთ წინამძღვარნი იგი თქვენნი» (ებრ. 13, 7), დარიგება დავით წინასწარმეტყველისა—«წრფელთა შვენის ქება» და. რამდენათაც შესაძლოა, რამდენათაც ხელს გიწყობთ გარემოება, ასრულებთ კიდეც ხსენებულ საღმრთო სწავლა-მოძღვრებას.

ხსოვნა და მარად ქებით ხსენება იმ პირებისა, რომლებიც ყოფილან სასარგებლონი ჩვენთვის და ქვეყნისათვის, მიმჩნეული გვაქვს ყველას ზნეობრივ მოვალეობად. ხოლო ჩვეულებრივი ადამიანის შეწევნა, დახმარება და მოძმისათვის სიკეთის მინიჭება ხან მოკლე და ვიწროთ შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარგლულია. კაცი მოქმედობს და სთესს სიკეთეს, სანამ ცოცხალია; მოკვდა იგი და შეჩერდა მისი კეთილი მოქმედება, მოაკლდა ქვეყანას და თანამოძმეთ მისი მფარველობა, მისი ნუგეში და პატრონობა. დიახ, ასე მოკლეა ჩვეულებრივი კაცის სიცოცხლე და მისი მოქმედების ასპარეზი, მაგრამ ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლა, (ა. ტიმ. 2, 4) საკვირველად მოქმედობს წმიდათა შორის თვისთა და, ადამიანის მოქმედების გამაუქმებელ, მომსპობელ ძალას, რომელსაც ვეძახით სიკვდილს, წმიდა და უმანკო გვამთათვის განარინებს და თრგუნავს. ვინ არ სცნობს, მაგალითად, სიკვდილს უღონოთ და უძლურათ ამ წმიდა გვამების შესახებ? სადაა დამარღვეველი, განმანაწილებელი და გამხრწნელი ძალა სიკვდილისა, როდესაც ათას წელზე მეტია, რაც წმიდა ძმები აღმობრწყინდნენ საფლავებიდან უხრწნელებით და აჰა დღესაც აღყვავებულნი, ვითარცა ფინიკი, განმრავლებულნი, ვითარცა ნაძვი ლიბანისა (ფსალ. 91, 12), ვითარცა წყარო, რომელსა არა მოაკლდის წყალი (ისაია, 58, 11)? მართალია, დავით და კონსტანტინე გავიდნენ ცხოვრებიდამ, ამაღლდნენ ზეცას სულიერათ, მაგრამ თავიანთი ერი კი არ დაუტოვებიათ, არ განუწყვეტიათ მასთან სულიერი კავშირი, სულიერი ერთობა, არასოდეს არ დამცხრალან მისს სასიკეთოთ მოქმედებას, არ მოუკლიათ მისთვის ოხი და მფარველობა წინაშე ღვთისა. წინდად ამ სულიერი კავშირისა ჩვენთან და მუდმივი ჩვენდა შემწე-მფარველობისა წმიდა მოწამეთ დავით და კონსტანტინემ დაგვიტევეს ქვეყნათ თავიანთი უხრწნელნი გვამნი, მსგავსად იმისა, როგორც წინასწარმეტყველმა ილიამ დაუტევა ელისეს თვისი ხალენი.—ჩვენ მამა-პაპათ კარგათ ესმოდათ მოწამეთა წმიდა გვამების ამ გვარი მნიშვნელობა და ყოველთვის ჭირშიც და ლხინშიც, ბედნიერებაშიც და უბედურებაშიც მიმართავდნენ ხოლმე მათ მტკიცე სასოებით, რომ მიიღებენ მათგან საჭირო დახმარებას, ნუგეშინისცემას და სულიერად დამამყოფილებას. არც თუ როდისმე შერცხვენილ ქმნილან სასოებისგან (რომ. 5, 5), არც არა დროს მათი ვედრება არ დარჩენილა წმიდათაგან შეუსმენელი. ვინც გულდადებით და პირუთვნელათ შეისწავლის ქართველი ერის წარსულ თავგადასავალს, ჰსცნობს და წრფელათ აღიარებს, რომ თუ ქართველობამ შეუძლო ათასგვარ აუტანელ ქარტეხილს; თუ ქართველი ერი,—ყოველთვის მცირე რიცხვით და სუსტი სამხედრო ძალით,—არსებობს დღეს ქვეყნიერობაზე, დასდგომია გონების განვითარების გზას და მოქალაქობრივი ცხოვრების წინმსვლელობას, იმ დროს, როდესაც ოდესმე სახელგანთქმულნი, მძლავრნი და საშიშნი მისი მტრები აწ ალგვილან დედამიწის პირიდამ, ან დაწვრიმალებულან, დანაწილებულან, დაუძლურებულან და დღე-დღეობით მოელით მათ სრული განადგურება, ვინც შეისწავლის ამაებსაო, ვამბობთ ჩვენ, ის დარწმუნდება, რომ ეს მოხდა მხოლოთ ქართველთა წმიდანების გუნდთა ზეციური მფარველობის და ლოცვის ძალით საზოგადოთ, ხოლო დავით და კონსტანტინეს მხურვალე მეოხებით განსაკუთრებით.

გესმათ, ძმებო და დებო, რა მფარველობა გაუწიეს მოწამეებმა დავით და კონსტანტინემ ჩვენ წინაპართა, ხედავთ დღეს, რომ «წყარო არიან ნიჭთა კურნებათასა ნაწილნი მათნი» და, რასაკვირველია, არავის არ მიუტევება გულგრილობა, უსასოობა და მათდამი ჯეროვანი კრძალულების უქონლობა. სანუგეშოთ და სასიქადულოთ თქვენდა, ვგონებ, მცირეთ მოიპოვებიან თქვენ შორის ამგვარნი პირნი. თვალსაჩინო სიმრავლე დღევანდელი მლოცველებისა, დაუზარებლათ, სიხარულით და სიამოვნებით გაღება თქვენ მიერ შესაძლო წვლილისა წმიდანების გვამთა სამყოფელის ანუ კუბოს შესაბამად გამშვენება-გაბრწყინვებისთვის ეჭვს გარეშე ჰყოფს თქვენ სათნოებას და სასოებას წმიდანებზე. სასოებით უმზერთ ამ ზეციურ მფარველთ და არც თუ მათ მიუქცევიათ თქვენგან პირი; გსურთ შეძლებისადაგვარათ სულიერათ დაუახლოვდეთ მათ და იგინიც ამის გამო დამკვიდრებულან თქენ შორის. ირწმუნეთ გულით, რომ თუ თქვენსა და ხსენებულ წმიდათა შორის არ არსებობდეს სულიერი კავშირი, თუ წმ. დავით და კონსტანტინე გარისხებულნი იყვნენ თქვენზე და სამძიმოთ მიაჩნდეთ თქვენი მფარველობა, თქვენთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის შუამავლობა წინაშე ღვთისა, აღარც ეს უხრწნელნი გვამნი მათნი დარჩებოდნენ თქვენ შორის.

აღვსილნი ნეტარებით და სულიერი სიხარულით იმის გამო, რომ გვივსთ წინაშე ღვთისა კადნიერნი მეოხნი და მფარველნი, ნუ დავივიწყებთ ამასთან, ძმანო ქრისტიანენო, რომ სიხარული და ბედნიერება თქვენი იქნება სრული და უნაკლულო მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მომავალ თაობას, თქვენ შვილებსაც გადასცემთ თქვენ ზეციურ მფარველთადმი შესაფერ რიდს და კრძალულებას, თუ ბავშვობაშივე აგრძნობინებთ მათ, რომ წრფელთა შვენის ქება; სიურმითვე ჩააგონებთ, ვინ იყვნენ დავით და კონსტანტინე, როდის, სად, ვისგან და რისთვის ეწამნენ იგინი, ვინ და როგორ აღმოაჩინა მათი უხრწნელნი გვამნი, ვინ ააშენა და შეამკო ეს ტაძარი, ვინ დასწერა მათი ლოცვა-გალობა და სხ. იცოდეთ, პატიოსანნო მსმენელნო, რომ ამ გვარათ აღზრდა შვილებისა, არის საღმრთო ანდერძი მამა-პაპისა.

იმერთ-ამერთა მნათობნო ქართველთანო, ანგელოსთა წესთა თანა მარადის მდგომარენო წინაშე საღმრთოსა საკურთხეველისა, მხნენო მოწამენო დავით და კონსტანტინე! შემწე და მეოხ ეყვენით წინაშე ღვთისა თქვენს აღმომჩენელსა და ტაძრისა ამის აღმგებსა; გამოსთხოვეთ იესო ტკბილსა სიმრთელე და კეთილდღეობა იმერეთის სასიქადულო მღვდელმთავარის გაბრიელისთვის, რომელიც დაშვრა მრავალს ამ ტაძრის მეორეთ აგებაზე; მიანიჭეთ ბედნიერება, სიცოცხლე და უხვი ქონება, რომელთაც იღვაწეს და მონაწილეობა მიიღეს თქვენ პატიოსან კუბოს გამშვენებაში; შეუნდეთ ყოველი შეცოდებანი, აღუსრულეთ ვედრება და მიმადლეთ თქვენი კურთხევა აქა მყოფთ თქვენ მედღესასწაულეთა! ამინ.

ამ სიტყვამ სწორეთ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მლოცველებზე. როცა მქადაგებელმა ღმერთს შეავედრა და მეოხება და განკურნება ითხოვა მთავარ-მოწამეთაგან აწ სნეულად მყოფის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისათვის, თითქმის ყველა მლოცველების თვალთაგან ღელესავით წამოვიდა ცრემლები და ყველამ ერთგულათ შესთხოვა უფალს თავისი საყვარელი მღვდელთ-მთავრის მშვიდობით განკურნება.

წირვის შემდეგ სამღვდელოებამ გადაიხადა საზოგადო პარაკლისი. როგორც ტაძარი ისე ტაძრის გარეშემო ადგილები ისე იყო გატენილი მლოცველებით, რომ კაცს გავლა არ შეეძლო. ნაწირვებს ყოვლად სამღვდელო ბესარიონი და სხვა საპატიო პირნი მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ბესარიონმა მიიპატიჟა სადილზე, სადაც სტუმრებმა მშვენივრად და ტკბილად გაატარეს დრო საღამოს ოთხ საათამდე და ექვს საათზე ქუთაისშივე დაბრუნდენ.

მლოცველები დიდის სიხალისით ყიდულობდენ წმიდა მთავარ-მოწამეთა მხატვრობას, გულსაკიდ პატარა ხატებს და პატარა წიგნაკებს, რომლებშიაც აწერილი იყო მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ცხოვრება და ადგილობითი მონასტერი. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი ტაძრების ყველა დღეობებზე ასე ვრცელდებოდეს ჩვენში იმისთანა საგნები, რომელნიც ჩვენს ხალხს უღვიძებენ გულში თავისს წარსულს და მომავალს. დიდად სასურველია, რომ ამისთანა დღეობებს ჩვენში საზოგადო მნიშვნელობა მიეცეს და არა მარტო ადგილობითი და ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია ჩვენს სამღვდელოებასა და შეგნებულს საზოგადოებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ენკენიობა მათხოჯის დედათა სავანეში 5 ოკტომბერს.

ამ ოქტომბრის 5 მათხოჯის დედათა სავანეში აკურთხეს დროებითი ეკლესია. ეკლესია მოწყობილია თვით მონასტრის შენობაში. ვგონებთ, მკითხველმა საზოგადოებამ არ უწყის ამ დედათა მონასტრის დაარსების ამბავი და ამიტომ, სანამ ხსენებული ეკლესიის კურთხევის შესახებ ვიტყოდეთ რამეს, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამ სავანის დაარსების შესახებ.

საზოგადოდ საქართველოში და განსაკუთრებით იმერეთში და სამეგრელოში ბევრს ეკლესიაზედ შეხვდებოდა კაცი პატარა სენაკებს, რომლებშიაც ცხოვრობდნენ ქალები. ეს ქალები ეკლესიებში ემსახურებოდნენ მღვდლებს და მონაზონობდნენ. ზოგიერთ ეკლესიებზე ორი-სამი ასეთი ქალი იყო ხოლმე. 1891 წელს კანტორამ გამოსცა უქაზი, რომლის ძალით ქალებს აღეკრძალათ ეკლესიების სენაკებში ცხოვრება. ამ ქალებს შინ, ოჯახობაში, დაბრუნება აღარა სურდათ და არც სენაკებში აყენებდნენ. ძლიერ დაალონა კანტორის განკარგულებამ ხსენებული დედები. მათ შორის ნამეტნად დაალონა კარგა ხნიდამ მონაზვნად შემდგარი ქალი წმიდის გიორგის ეკლესიის ტაძრის სენაკში ივლიტა სანაძის ასული. ამან დაიარა სოფლები, სადაც ყოფილიყვნენ სენაკებში დანები, შეკრიბა იგინი და სთხოვა სიტყვიერად ყდ სამღვდელოს, რომ მიეცა მათთვის ნება მათხოჯის გაუქმებულ ეკლესიასთან დაბინავებისა. რადგან ეკლესიებთან აღარ აძლევენ მათ ბინადრობის ნებას. ყდ სამღვდელოს გაბრიელს უარი არ უთქვამს მათთვის, მაგრამ მისცა დრო, კარგად მოეფიქრათ ამაზე. ბლაღოჩინის მ. ერასტი მაჭარაძის პირით 8 ივნისს 1892 წელსა სთხოვეს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს, რომ მათ მეუფებას ნება მიეცა მათთვის აეშენებიათ ერთი საზოგადო სახლი მათხოჯის ძველ ნაეკკლესიარ ადგილზე. ბლაღოჩინმა მაჭარაძემ ამ საგნის შესახებ ყდ. სამღვდელო გაბრიელს მიართვა რაპორტი, რომელზედაც მათი მეუფებისაგან დაწერილია: „დიდი ხანია, ეს დანები მაწუხებენ თხოვნით ამ საგნის შესახებ, ვაძლევ მათ ნებას და შენდობას განაახლონ ეს ძველი ეკლესია, რომელიც მოშორებულია სოფელს, დაიდგან სენაკები და ილოცონ».

1892 წელს 20 დეკემბერს ბლაღოჩინს მაჭარაძეს მოუხსენებია ყდ სამღვდელო გაბრიელისათვის, რომ ორმოცამდი შეიკრიბნენ დანები; თავიანთი საშუალებით ააშენეს ერთი მოგრძო შენობა, რომელიც შეიცავს ცხრა ოთახს, ააგეს სახაბაზო სახლი, სასიმინდე, გააგანიერეს ეკლესიის ეზო და ფულათ იმდენი შეჰკრიბეს საზოგადოებაში, რომ ყოველ ამ ხარჯთა გარდა კიდევ დარჩათ 700 მ. ამავე მოხსენებაში ბლაღოჩინი მაჭარაძე სთხოვს მათ მეუფებას, რომ ხსენებულ დებთ რომელიმე სხვა მონასტრის გამოცდილი მონაზონი დააყენოს წინამძღვრად. ყდ სამღვდელო გაბრიელი უცხადებს ბლაღოჩინს მ. მაჭარაძეს, რომ მათ მეუფებას სხვა მონასტერში არავინა ჰყავს სახეში საწინამძღვრო მონაზონი. «გამოუცხადეთ ამ სავანის დათა, ბრძანებს მათი მეუფება, რომ თვის შორის აღირჩიონ ერთი ვინმე უმჯობესი, მაგრამ პირველად ილოცონ და შევედრონ ღმერთსა, რომ უფალმა შთააგონოს მათ თვისს შორის უმჯობესის და გონიერის აღრჩევა! ამავე დროს ამ ახალი სავანის ერთი და პარასკევა ჩხიკვიშვილი ქალალდს აძლევს ყდ სამღვდელო გაბრიელს და სთხოვს, რომ მათმა მეუფებამ ნება მისცეს მათ მონასტრის ეკლესიის გეგმის შედგენისა და ეს დედათა სავანე მიეწეროს მღვიმევის დედათა მონასტერს და აგრეთვე სთხოვს მათ მეუფებას კონდაკის ბოძებას ასაშენებელი ეკლესიის სასარგებლოდ ფულების მოსაგროვებლად და ორ საიმედო დათა წარადგენს ფულების მოსაკრებად. ყდ სამღვდელო ნებას აძლევს მთხოვნელს ახალი ეკლესიის გეგმის შედგენისას და აძლევს მას კონდაკს და ურჩევს ამ სავანის დათა თვისს შორის აირჩიონ წევრები სავანის რჩევისათვის. რჩევის წევრებად ინიშნება სამი პირი. ამათში ერთი თავჯდომარეა და ორიც წევრი, რომელთა შორის ერთი ინიშნება ხაზინადრად ანუ ეკონომნად.

ყდ სამღვდელოს გაბრიელის ამ მოწერილობის ძალით ბლაღოჩინს მაჭარაძეს მრავალს გზით მოუხდენია სავანის რჩევის წევრთა არჩევა ხან სიტყვით და ხან დაფარული კენჭის ყრით, მაგრამ სავანის დანებს ყოველთვის პარასკევა ჩხიკვიშვილი აურჩევიათ სავანის გამგეობის თავსმჯდომარედ და ორი სხვა რჩევის წევრებად. ბლაღოჩინს მაჭარაძეს რჩევის თავმჯდომარედ სდომებია სანაძის ქალი ივლიტა, მაგრამ სავანის დებს არ აურჩევიათ იგი რჩევის თავსმჯდომარედ. ამიტომ ბლაღოჩინი მაჭარა-

ძე სანაძის ქალს ივლიტას ნიშნავს კონდაკის ჩამოსატარებლად და მასთან მოსიარულედ უნიშნავს ორ სხვა დათა.

საყურადღებოა, რომ ჩხიკვიშვილის ქალი, ყოვლად სამღვდელოს მიწერილობამდე სავანის რჩევის დაარსების შესახებ, აღრჩეულ იქნა ყველა დანებისაგან უფროს გამგედ. მისი მეცადინეობით და თაოსნობით აღშენდა კიდევმეორე მშვენიერი ორ სართულიანი თორმეტ ოთახიანი სახლი, გამოყვანილ იქმნა კარგი შორეული ადგილიდან მშვენიერი წყალი. ერთი სიტყვით, პარასკევა ჩხიკვიშვილი ჩინებულად მეთაურობდა სავანის დებთა შორის. როცა ბლაღოჩინმა მაჭარაძემ მღვდელთ-მთავარს წარუდგინა დასამტკიცებლად სავანის წევრთა აღრჩევის სიგელები, თან დასძინა, რომ მათ მეუფებას ამ სავანის წინამძღვარ ქალად მოეწოდებინა ვინმე გარეშე მონაზონი. მათმა მეუფებამ წინადადება მისცა მღვიმევის დედათა მონასტრის წინამძღვარს, რომ მას გამოეცხადებინა მონაზვნებისათვის, შეიძლება მათგან ვინმე ისურვებდა მათხოჯის მონასტერში უფროსად წასვლას. მაგრამ არც ერთმა დამ მღვიმევის მონასტრისამ სურვილი არ განაცხადა ხსენებულს მონასტერში უფროსად წასვლისა. ჩხიკვიშვილის ქალმა სავანის დებთა შორის წინეთ აღირჩია ორი სანდო და, ჩააბარა მათ კონდაკი და გაგზავნა ფულების შესაკრებად, მაგრამ ამ ქალებს ბლაღოჩინმა მაჭარაძემ ნება არ მისცა ფულის მოკრებისა თავის საბლაღოჩინოში. ბოლოს ფულის შესაკრებელი კონდაკიც ჩამოართვა მათ, რომელთაც ჰქონდათ იგი ჩაბარებული და სხვათ გადააცემინა; ამ სხვაებს დაჰქონდათ კონდაკი, მაგრამ ძლიერ ცოტა ფული შეიკრიბა ეკკლესიის ასაშენებლად. მაისის თვეში ბლაღოჩინმა მაჭარაძემ რაპორტით მოახსენა ყოვლად სამღვდელო გაბრიელს, რომ რჩევის თავმჯდომარე თავისს ნებაზე განაგებს დათა სავანეს და საჭირო შემთხვევებში სასულიერო მთავრობისაგან ნებართვას არ ითხოვსო და სხვ. და სხვ.

როდესაც ასე გამწვავდა საქმე მამა ე. მ—ძის და რჩევის თავმჯდომარის პ—ვა ჩ—ის შორის, სავანის დანების თხოვნით ყოვლად სამღვდელომ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა სავანის ბლაღოჩინად დანიშნა დეკ. დ. ღამბაშიძე. მან მიიღო თუ არა ეს თანამდებობა, მივიდა სავანეში, დაათვალიერა იგი, შეიტყო მონასტრის საჭიროება და დაუყოვნებლივ მოახსენა ყოვლად სამღვდელოს, რომ სავანის შენობაშივე დაარსებულიყო დროებითი ეკკლესია. გამოითხოვა სამუდამო ეკკლესიის გეგმის დამტკიცება თანახმად უწმიდესი სინოდის მიერ მოწონებული გეგმისა. უფასოდ გაუგზავნა სავანის დანებს მათი რიცხვისაებ ქართული ქავნები, გელათის ხახულის ღვთის-მშობლის ხატის ფოტოგრაფიული პირი, წმიდა ნინას მხატვრობა და მრავალი ხრამო-ლიტოგრაფიული მხატვრობა დიდი და პატარა, ერთი ხელი მღვდლის შესამოსელი და ტაძრის დღესასწაულის ხატი ნინა ქართველთ განმანათლებელისა კიპაროსის ხეზე დახატული და მოვარაყებული.

ხუთს ამ თვეს ბლაღოჩინმა დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ მოიწვია ყდ სამღვდელო ბესარიონი კრებულითურთ ზემოხსენებული დროებითი ეკკლესიის საკურთხად. ყდ სამღვდელო ბესარიონი სავანეში მობძანდა ხუთს ოქტომბერს. საღამოის ექვს საათზედ შესრულებულ იქმნა ღამის თევითი ცისკარი. მეორე დღის ცხრა საათზე დაიწყეს ეკკლესიის კურთხევა. ყდ სამღვდელოსთან მწირველი იყვნენ დეკ. დ. ღამბაშიძე, ბლაღოჩინი ნესტორ შვანგირაძე, ბლაღოჩინი ე. მაჭარაძე და მღ. ი მელაძე. წირვაზე, განიცადენის დროს, მოკლე სიტყვა წარმოსთქვა დეკ. დ. ღამბაშიძემ, რომელმაც ეკკლესია შეადარა ხოლმანდს და ის აზრი გაატარა, რომ როგორც მოგზაურს ხოლმაინდის საშუალებით ზღვის ერთი კიდედან შეუძლია მეორე კიდეზე უვნებლად გასვლა ისე ეკკლესიის საშუალებით შეუძლია კაცს თავისი დღენი დაბადებიდან დაწყებული უკანასკნელ დღემდე გაატაროს მშვიდობით და არ დალუპოს თავისი სული. წირვის გათავების შემდეგ მონასტრის დათა სადილზე მიიპატიჟეს ყდ სამღვდელო და რამდენიმე გარეშე პირნი, რომელნიც ენკენიობას დაესწრენ. ასე გათავდა ამ დედათა ახალი სავანის დროებითი ეკკლესიის კურთხევა და დღესასწაულობა.

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩვენს საზოგადოებისადმი დედათა მონასტრების და სავანების შესახებ საზოგადოდ და განსაკუთრებით ეხლანდელს დროში. მამათა და დედათა მონასტრებს ჩვენში ძველი დროიდან დიდი ღვაწლი და სამსახური მიუძღვის ჩვენი ხალხის ისტორიულ არსებობის საქმეში. ეს მონასტრები აქა-იქ მთელს საქართველოში დიდ ვარსკვლავებივით ბრწყინავდენ. ამ მონასტრებიდან ვრცელდებოდა სწავლა-მეცნიერება ხალხში და მტკიცდებოდა კეთილი

ზნეობა. დიდებულნი პირნი მონასტრებში მიივლტოდენ მამულის სამსახურისათვის, ვინაიდგან სრული დარწმუნებული იყვნენ, რომ მამულს მომეტებულს სამსახურს გაუწევდნენ სასულიერო წოდებაში. მაგრამ ეხლა დრო შეიცვალა. დღეს სულ სხვა ნაირად ფიქრობენ და აზროვნობენ: ისე დაჩლუნგდა ეხლადელ დროში წინანდელი მშვენიერი გამჭრიახე მაჯელობა ქართველებისა, რომ ზოგიერთები იმასაც კი ფიქრობენ, რომ მონასტრები დღეს არავისთვას საჭირო არ იყოს! ამისთანა ახირებულმა მოსაზრებამ იქამდის მიიყავანა საქმე, რომ ჯეროვანი მკითხველნი სალმრთო წერილისა და მლოცველნი კი თანდათან მცირდებიან. სადღაა დღეს ისეთი გაჩაღებული წირვა-ლოცვა, როგორსაც ჩვენ ძველ დროში ვხედავდით და გვესმოდა! სადღაა დღეს გალობა, ორპირი გალობა კარნახობით და ორივე გუნდის შეერთებით, როგორც ამას ყველა მოვსწრებივართ? თან-და თან ქრება ძველი კილოს მშვენიერად მლოცველნი და მკითხველნი; თან-და-თან ქრება გალობა, დამატკბობელი მლოცველის გულისა. მღვდელი უწყრება მედავითნეს, რომ გალობა არ იცის, მაგრამ ამ მედავითნეზე უფრო სუსტად იცის თვითონ კითხვა და გალობა. ხალხს გული გაუგრილდა ეკკლესიაში სიარულზე, გაუგრილდა გული სარწმუნოების შესახებაც. ამისთანა სამწუხარო მოვლენის მიზეზს ეძებენ და საუბედუროდ, იქ პოებენ სადაცს რულებით იგი არ არის. ნამდვილი მიზეზი ყველა ამ სამწუხარო მოვლენათა, უნდა ვეძიოთ ჩვენს გადაგვარებაში, ჩვენს დამახინჯებაში! ჩვენ თვითონ უარს ვყოფთ მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებას, მოგვწონს ის, რაც ჩვენთვის სასარგებლო არ არის და ვერ მიმხვდარვართ იმას, რომ ამისთანა გადაგვარებულ ცხოვებას სამწუხარო შედეგი ექნება ჩვენთვის. მართებლობამ კარგად იცის, რომ საზოგადოთ მონასტრებს და განსაკუთრებით დედათა მონასტრებს დიდი ზნეობითი მნიშვნელობა აქვს ხალხის ზნე-ჩვეულებაზე და ამიტომაც ცდილობს მათი რიცხვის გამრავლებას.

ჩვენ შემთხვევით დავესწარით თეკლათის დედათა მონასტერში წირვა-ლოცვის დროს და აღტაცებაში მოვედით მშვენიერი ორ გუნდიანი მგალობლებით, რომელიც კარნახობით სრულდებოდა. ჭეშმარიტად დიდი იმედი უნდა გვქონდეს ამისთანა მონასტრების. სწორეთ აქ იქნება დაცული მშვენიერი კითხვა-გალობა და იქნება აქედამ გავრცელდეს სოფლებშიც ეხლანდელ ჩვენ «კურსოვნიკ» მღვდლებსა და მედავითნეთა შორის კარგი კითხვა და გალობა. ღმერთმან ინებოს, რომ ჩკენს საზოგადოებას გამოეჩინოს ცოტა მაინც ზრუნვა ამისთანა მონასტრების დაარსების საქმეში და ხელი შეეწყოთ მათთვის. იმედია, რომ როგორც თეკლათის დედათა მონასტერი ისე მათხოჯის მონასტერიც ისახელებს თივს თავისი მშვენიერი გაწყობილი წირვა-ლოცვით და გალობით. მაშ იმედი ვიქონიოთ მკითხველო და ძველებური ჩვენებური თანაგრძნობა გაუწიოთ ამ ახალ დაარსებულ დედათა მონასტერსს და ზნეობითა და ნივთიერად შეძლებისა გვარად ხელი „შეუწყოთ...

XX

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა,

თქმული არქიმანდრიტის ლეონიდის მიერ,

## პანაშვიდის გარდახდის შემდეგ კრწანისის ველზედ სამშობლოსათვის დახოცილ მეომართა ასი წლის სულის მოხსენების დღეს.

საგალობელ ჰყავ სახელი უფლისა, რამეთუ მაღალნი ქმნა, მიუთხრენით ესენი შორის ყოვლისა ქვეყანისა (ესაია 12, 5)

პატარა სივრცით, ხოლო ფას-დაუდებელი ზედნიერი მდებარეობით, შემკული ღვთისაგან ნაკურთხი ბუნების საუცხოო შვენება-მოხდენილობით, სილამაზე—სიკეკლუცით, დასაჩუქრებული საოცარი სიუხვე-სიმდიდრით, ჩვენი სამშობლო, ედემის მზგავსი საქართველო, გარემოზღუდული უთვალავ-ძალოვან ხალხებით, პირველითგანვე იზიდავდა ამ უკანასკნელთა შურიან და სიხარბით სავსე ყურადღებას, პირველითგანვე ჩავარდა იგი «მგელთა შორის მივლინებულ კრავის» მდგომარეობაში, პირველითგანვე გარდიქცა დაუსრულებელ, სასტიკ, მძაფრ ბრძოლის ველად. მტერთა შური საქართველოსადმი და მათი დაულალავი მეცადინეობა ამ ქვეყნის დაჭერა-მითვისებისათვის განძლიერდა, გაორკეცდა და გამწვავდა მომეტებულად მას უკან, რაც ივერიის მაღალბუნებოვან, ნიჭიერ მკვიდრთ უკუ აგდეს «აჩრდილნი სიკვდილთანი.» შეიმოსეს «ნათელი დიდი», დაემოწაფნენ ქრისტე მაცხოვრის ღვთაებრივ სწავლას, აღმართეს თვალ-გადაუწვდენელის მთების, მუდამ სპეტაკის თოვლით მოსილ მწვერვალებზედ ცხოველმყოფელი ჯვარი, ააგეს, მორთეს, შეამკეს მრავალნი დიდებულნი ტაძარნი, იწყეს ჭეშმარიტი ღვთის ლოცვა-გალობა ტკბილ, მარტივ, შვენებით სავსე სამშობლო ენაზე, ერთი სიტყვით, მას უკან, რაც ქრისტეს აღსარების მეოხებით დაფანტულ-დანაწილებულმა ქართველმა თემებმა ჰსცნეს ერთ-ურთის ძმობა ნათესაობა და ამის გამო შეერთდნენ, დაახლოვდნენ და დაადგნენ ერთობის მტკიცე კვალს; ქრისტიანობამ შეჰქმნა და წარმოშობა ქართველის ერის გონებრივი და მოქალაქობრივი ძალა, ქრისტიანობამ თავ-დადებით შეაყვარა ქართველს სამშობლო ეკკლესია, როგორც აკვანი ეროვნულის თვითარსებისა, ეროვნულის განვითარებისა და სამშობლო ენის აჰყვავება წარმატებისა. ხოლო ამ გვარი გატაცებული სიყვარული სამშობლოსი, ამ გვარი თავდადებითი შეტკბობა სამშობლო მამულის ყოველის მტკაველისა, ლახვარად ესობოდა გულს მოსაზღვრე, მაჰმადის სარწმუნოების მიმდევარ ერთ, უღვიძებდა მათ სურვილს ქართველთა შორის ქრისტიანობის გაქრობისას და, რასაკვირველია, ქრისტიანობასთან ერთად, ერის არსებობის მოსპობისა, განადგურებისა და ძირითადის დამხობისას. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ მაჰმადიან-სპარს-ოსმალთაგან არა ჰქონია საქართველოს მოსვენება და მუდამ უტრიალნია მას ცეცხლსა და ალში. გადავშალოთ საქართველოს მატიანე, გადავიკითხოთ რამდენიმე თავი და ყველანი ერთ ხმად მივმართავთ ამ მრავალ წამებულ ერს იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებით: ყოველთა მტერთა შენთა დაისტვინეს და დაიღრჭინეს კბილნი მეტყველთა: შთავნთქათ იგი (იერემ. 2. 16. გოდება) სიტყვის გამოუთქმელი მძვინვარებით და ბრაზით, ანუ როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, სტვენით და კბილთა ღრჭენით, მოედებოდნენ ხოლმე საქართველოს მაჰმადიანთა აუარებელი ურდონი, ჰლამობდნენ მის შთანთქმას, განადგურებას, დედამიწასთან გასწორებას და წალეკვას. მურვან-ყრუ, ლანგთემური, ჩინგიზხანი, ჯალალედინი, შაჰ აბაზი—რომელ ქართველს არ უვლის ხსოვნაში ჟრჟოლა... ქრუანტელი ამ უსულო და კაჭ-გულოვან პირთა ხსენებაზედ? რომელმა ქართველმა არ იცის, რა მეხი დასცეს და რა ცეცხლში გაატარეს მათ საქართველო? რომელი ქართველი არა ხედავს დღესაც ჩვენ მათ ნავნებს და ზიანს? ამ გვარად და ამ ზომითვე სამძიმო, გულ-დამწველი მოსაგონია ყოველისათვის საზიზღარის საჭურისის აღა-მაჰმად-ხანის სახელიც. სრული საუკუნე შესრულდა დღეს, რაც აღა-მაჰმად ხანი აუარებელის ჯარით შემოესია საქართველოს დედა-ქალაქს ტფილისს, მოსრნა მცხოვრებნი, გასწყვიტა მამულისათვის თავ-დადებულნი ძენი, «აჰა ესე დედათა ნაყოფი მუცელთა მათთა», მოაოხრა გარემო სოფლები და აჰყვავებული ქვეყანა გახადა «საძაგლად მოოხრებისა».

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროდ არ ვრაცხ წარმოგიდგინოთ დაწვრილებითი სურათი ქართველთა ტანჯვა-წამებისა, კვნესა - ტყეპისა, ხსენებული საჭურისის და იმის ლაშქართა ავზნეობისა, გულუღრძნობისა და სიცოფისა. ვგრძნობთ და ვიცით ყველაფერი ეს და ამის გამო, რომ შევგროვილვართ აქ. ვხედავთ ცხადად, რომ კრწანისის ფართო ველს ქართველთა გმირთ სალმრთო სისხლი ჯერაც ვერ შეუშრია, ჯერაც კრწანისის არე-მარე სავსეა სარწმუნოებისა და მამულისათვის თავდადებულ ქართველ შვილთა ძვლებით და ამის გამო გულდაწყლულნი მოვსულვართ, რომ წრფელის ლოცვით შევავედროთ ღმერთს მსხვერპლით დაკლულთა სულნი.

ვილოცოთ, ძმებო და დებო, მდუღარე ცრემლთა ფრქვევით, ვილოცოთ კრწანისის ველზე დახოცილ ქართველებისათვის, «განვჰფინოთ, ვითარცა წყალი, გული ჩვენი წინაშე პირსა უფლისასა, აღვიხვნეთ მისდა ხელნი ჩვენნი სულებისთვის» აქა მოსრილთა და ამასთანავე გავიხსენენოთ, ჩვენდა სანუგეშოდ, რომ თვით ამ შავ და ბნელ დროს შედეგად მოჰყვა ჩვენი ბედნიერება და კეთილდღეობა. გამარჯვება მტრისა ჰყო უფალმან საქართველოსთვის «ცისკარად განთიადისა». ტანჯვით და წამებით განწმედილ გამოხურვებულმა სახელოვანმა «გმირთა გმირმა» ირაკლი მეორემ ალა-მაჰმად ხანისაგან დამარცხების შემდეგ, გარდასწყვიტა ჩააბაროს თავისი სამშობლოს სვე-ბედი თანამორწმუნე რუსეთის მძლავრ სახელმწიფოს; შეერთებულმა ძალამ დაამკვიდრა საქართველოში მშვიდობა; სულ მცირე ხნის განმავლობაში უზრუნველ-იქნა საქართველო ყიზილბაშ—თურქთა დარბევათაგან და დაეცა შიშის ზარი მოუსვენარ ლეკებს, ჩაჩნებს, ქისტებს, ჩერქეზებს და ოსებს. დაიმშვიდა გული ქრისტეს სახელისათვის წამებულმა ერმა, თავისუფლად მოითქვა მან სული, იწყო მყუდრო შრომით სავსე მოქალაქობრივი ცხოვრება და, საჭიროების მოუთხოვნელობისა გამო «თანადაჰსჭრა,—ანუ გადააკეთა მახვილები თვისი სახნისად, და ლახვრები თვისი მანგლად» (ას. 2, 4) ჭეშმარიტად, უნდა საგალობელ-ვყოთ სახელი უფლისა, რამეთუ მაღალნი ქმნა და მიუთხრნათ ესენი შორის ყოვლისა ქვეყანისა!

ცხადია, ჩვენ აწმყო ყოფა-ცხოვრებას ხედვენ წამდგარნი წინაშე ღვთის დიდებისა ჩვენნი წამებულნი მამა-პაპანი და ჰმადლობენ იგინი ამისთვის ჩვენ წილ უფალსა.

ცეცხლსა და სახმილსა შიგა განვლილ ჩვენ წინაპართ უხარიანთ დღევანდელი ჩვენი მყუდრო ცხოვრება, მაგრამ უნდა კი ვგრძნობდეთ, რომ სიხარული მათი არ არის სრული და სავსე. რა-გინდ რომ თვალი ავარიდოთ, მაინც ცხადია, რომ ჩვენში აღარ ჰღვივის ის მხურვალე და შეუდრეკელი სიყვარული ქრისტიანობისა, რომელიც ამოქმედებდა ჩვენ მამა-პაპათ; რა-გინდ რომ სამარცხვინოდაც მივიჩნიოთ, მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ აღარ გვაქვს მათებრ გამჯდარი ძვალ-რბილში სამშობლო ენის სიყვარული; რა გინდ რომ ბევრიც ვიწყინოთ, მაინც უნდა ითქვას, რომ მივცემივართ კერძო, პიროვნულ ანგარიშებს და ნაკლებად-ღაა ჩვენში ძველებური, მამა-პაპისეული საზოგადო, სამშობლოსათვის თავშეწირულობა. კეთრი მცირედ-მორწმუნეობისა, ზერელობა სამშობლო ენის შესწავლა-განვითარებისა, გველი წვრილმანი თავმოყვარეობისა და ერთმანეთის გაუტანლობისა,—აი მტრები, რომლებიც წარმოვშობეთ ჩვენ თითონ, რომლებსაც დაუჭერიათ ალა-მაჰმადის ალაგი და რომელთა გამოც არ არის სრული და სავსე ჩვენ მამა-პაპათა სულიერი სიხარული აწინდელ ჩვენ ცხოვრებაში.

აქ, კრწანისის ველზედ, რომელიც მორწყულია საქართველოს წარჩინებულ შვილთა სისხლით და განპოხიერებული მათი ძვლებით, დავდოთ ამ საერთო მგლოვიარობის დღეს მტკიცე აღთქმა, რომ მოვიშლით ყოველიფერ ამას და დღეის იქით ვიქნებით მიმდევარნი მამათა საქებურ საქციელისა! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ დაუმტკიცებთ ქართველთა გმირთ გულითადს სიყვარულს და დღევანდელი ჩვენი გლოვა-ტირილი იქნება ამაო, უშედეგო. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები და შენიშვნები.

---

იმ ორ-კლასიან სასწავლებლებისათვის, რომელნიც უწმიდესი სინოდის განკარგულებით უნდა გაიხსნან თითოეულ მაზრაში ორ-ორი, იმერეთის ეპარქიაში უკვე დაინიშნა ადგილები. ქუთაისის მაზრაში ერთი სკოლა უნდა გაიხსნას ბაღდათში და მეორე ქვილიშორში. შორაპნის მაზრაში უნდა გაიხსნას ერთი ალისუბანში და მეორე რგანში და რაჭაში ამისთანა სკოლა უნდა გაიხსნას მარტო ერთი შუაგულ ადგილას. იმერეთის ეპარქიის სასწავლებლის რჩევამ უკვე დანიშნა სამრევლო სკოლების მაზრის მეთვალყურენიც: ქუთაისში მღვდელი ტიმოთე კაპანაძე, შორაპანში მღვ. იაკინთე გორგაძე და რაჭაში ბლაღ. მღვდელი ნ. ვანდელაკი, რომელიც ბლაღოჩინობას თავს ანებებს.

***

მათნი ყოვლად უსამღვდელოესობანი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი და ალავერდის ეპისკ. ბესარიონი 15 ოქტომბერს, დღით შაბათს მწირველნი ბრძანდებოდნენ საჩხერეში თავადი გიგო წერეთლის გამოტირილის დღეს. განსვენებულს თავადს გიგო წერეთელს ათასი მანეთი დაუტოვებია «კვალის» სახელზე ზეპირ-სიტყვაობის ფონდის სასარგებლოდ. ღმერთმან განუსვენოს მას აბრაამის წიაღსა შინა ამ კეთილი საქმისათვის! სწორეთ შესანიშნავი საქმეა...

***

შორაპნის მაზრაში აზნაურმა ნიკო სიმ. ჩიკვაიძემ შესწირა ალისუბნის ეკკლესიას ოთხას თუმნად საღირალი ქვითკირის შენობა თავისი ეზოთი სამრევლო სკოლის გასახსნელად და თუ ამ ადგილას გაიხსნება მასწავლებელთა მოსამზადებელი ორ-კლასიანი სკოლა, მაშინ კიდევ სწირავს ხუთ ქცევა მიწას საბაღეთ, ღირებულს არა ნაკლებ ათას ხუთას მანეთისას. შეწირულება ნოტარიუსის სიგელებით ჩაბარა უკვე სამასწავლებლო რჩევას. ორ-კლასიანი სკოლებისათვის იმერეთში ყველგან კარგა ბლომათ აღუთქვეს მიწა, შენობა და ფულებიც.

***

«მწყემსი»-ს რედაქციას მოუვიდა ახალი გამოცემ პატარა გულსაკიდი ხატებისა ფერ-წაუვალი ბრონზის, ბევრათ პატარენი წინანდელ ამგვარ ხატებზე დავით აღმაშენებლისა, დავით და კონსტანტინესი, წმიდა გიორგისა, თამარისა და ნინას ჯვრისა. ფასი თითოსი თითო შაური. ვინც ასობით დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი. ამისთანავე ხატები იმქონება წმინდა ვერცხლისა, თითო ორ აბაზათ. ეს ხატები შეიძლება მოიპოვონ ქუთაისში ძმათა ჭილაძეების და ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიებში და თფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. წიგნის მაღაზიაში.

***

ამ წელში გრაფინია უვაროვისამ დაიარა საქართველოს რამდენიმე კუთხეები და ბევრი შესანიშნავი ძველი ხატები, ჯვრები და სხვა ნივთები ნახა ჩვენს ეკლესიებს და მონასტრებში.

***

ჩვენ მივიღეთ ბ. ზაქარია ჭიჭინაძისაგან მისგან ახლად გამოცემული წიგნები 1) «მეფე ირაკლის გმირები», წიგნი დაბეჭდილია სუფთად ქ. ი. ხელაძის სტამბაში და ღირს სამ შაურად. 2) «ბავშვების მოვლა», თარგმნილი ვ. მაჩაბლის მიერ. ეს უკანასკნელი მეორე გამოცემით გამოდის. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 422 გვერდს და ღირს ორ აბაზად. ეს უკანასკნელი ილია ჭავჭავაძის სტამბაშია დაბეჭდილი.

***

უწმიდესმა სინოდმა კიდევ ექვსი თვის დასვენების ნება უბოძა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს ავადმყოფობის გამო.

***

ქუთაისში, 14 ოქტომბერს ურიების ნაწილში ურიებთან ჩხუბი მოუვიდა ერთ გლეხს, რომელიც მოწამეთიდგან მოდიოდა. ამ კაცს ურიებმა ქვები დაუშინეს. შეშინებული გლეხი, სხვა გზა რომ აღარა ჰქონდა, რიონში ჩავარდა, მაგრამ წყალშიაც ქვები დაუშინეს და დაიხრჩო. ამის გამო ხალხი აირია, აკოშკები ჩაუმტვრია ურიებს და ბევრსაც სცემეს. ხალხი იმდენი შეიკრიბა, რომ პოლიციამ და ჯარმაც ვეღარ დაიკავა. დიდი უბედურება მოხდებოდა, მაგრამ გუბერნატორის გასაოცარმა გულკეთილობამ და პოლიციის რიგიანმა მოქმედებამ ურიებიც და ქრისტიანებიც იხსნა საშიშარ შედეგისაგან. დამხრჩვალი დღესაც ვერ უპოვიათ.

---

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

## ცხოვრება ღირსისა და სასწაულთ-მომქმედისა წმ. იოანნე ზედაზნელისა.

წმ. იოანნე შთამომავლობით ასურელი იყო, სადაც მიღებული ჰქონდა პირველ-დაწყებითი განათლება. არავინ იცის, სად დაიბადა წმ. იოანე და ან ვინ იყვნენ მისი მშობლები; ვიცით მხოლოდ, რომ იგი დაიბადა ანტიოქიის ერთ მახლობელ სოფელში. ქ. ანტიოქიაში სწავლობდა იგი, მტკიცდებოდა სარწმუნოებაზე; ამ ქალაქში ცხოვრებდა წმ. იოანნე, ვინემ იგი სრულ-წლოვანი არ შეიქნა. საკვირველმა იოანნემ—განდეგილთა გვირგვინმა და შვენებამ—საფუძვლიანად შეისწავლა საღმრთო წერილი და აღავსო გული და გონება ყოვლივე სულის სასარგებლო ცოდნით. როცა წმ. იოანნე სრულ წლოვანი გახდა, იგი დიდის გულს-მოდგინებით შეუდგა ქრისტეს მცნებათა მტკიცედ აღსრულებას. იგი ზრუნავდა სულისათვის, და ამავე დროს იძენდა სწავლა-მეცნიერებასაც. წმ. იოანნე ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, როცა, მაშინდელი დროის ჩვეულებისამებრ, ბერად აღიკვეცა და მიეცა განდეგილს ცხოვრებას, რომ ამით განშორებოდა ამა წუთი სოფლის ამაო ზრუნვას და ცოლ-შვილობას. დიდის გულმოდგინებით იწყო მან ღვთის-მსახურება და ვიდოდა ღვთის მცნებისაებრ და ამიტომ იგი დღითი-დღე უფრო მომეტებულად მარხულობდა და ლოცვილობდა; ეს წმიდა მამა იმდენად მშვიდი და მართალი ხასიათისა იყო, რომ იგი თავისს თავს რაცხდა მატლად და არა კაცად; იგი იყო სასტიკი მოწინააღმდეგე ბოროტისა და განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა მას, რომელიც მიზეზია ყოვლივე ბოროტისა—ეშმაკს და ყოვლივე ძალ-ღონეს ხმარობდა წინაღდგომოდა მას. იოანნეს თვალზე ცრემლი არ შრებოდა. დღე და ღამ ევედრებოდა იგი უფალს მიეცა მისთვის ძალა, რათა წინაღდგომოდა ხორციელ ვნებათა და დაეძლია ხორციელნი ვნებანი, რომელნიც არღვევენ სულის შინაგან სიმშვიდეს.

ღმერთმა შეისმინა ვედრება წმ. იოანნესი და მიანიჭა მას ხორციელ ვნებათა დამორჩილებისა და მადლი სასწაულთ-მოქმედობისა; იგი თავისი კეთილი ცხოვრებით და სულიერი მოღვაწეობით აღემატა ყველა თავისს ძმათა უდაბნოში, თავისი სასწაულებით მან მთელი ანტიოქიის მკვიდრთა ყურადღება მიიპყრო, გაანათლა იგინი ღვთის მცნებით, ასწავებდა რა მათ ქრისტეს სჯულის დამარხვას. თავისი დიდი და სასარგებლო მოღვაწეობით იგი შეიქმნა მნათობად ანტიოქიის მთელი მიდამოებისა; ყოველ გვარნი სნეულნი იღებდნენ მისგან კურნებას: ბრმანი ხედვიდნენ, კოჭლნი ვიდოდნენ; ეშმაკეულნი განიკურნენ ყოვლივე ბოროტი სენისაგან. რამდენათაც უფრო გაითქვა წმ. იოანნეს კეთილი ცხოვრება, მით უფრო მომეტებული მნახველნი მიდიოდნენ მასთან. რადგან მნახველები ხშირად არღვევდნენ წმ. იოანნეს მყუდრო ცხოვრებას, ამიტომ იგი მოშორდა ანტიოქიას. თან გაიყოლა რამდენიმე თავისი მოწაფენი და მათთან ერთად დაბინავდა ერთს უდაბნოში. აქ ის თავისუფლად შეუდგა სულიერ მოღვაწეობას, მარხულობდა, ევედრებოდა უფალს და ცდილობდა მტკიცედ აღესრულებია ღვთის მცნება. ანტიოქიის მკვიდრნი მომეტებულად შეაწუხა წმ. იოანეს განშორებამ და ამიტომ იგინი ცდილობდნენ მოენახათ წმ. მამა—სულისა და ხორცის მკურნალი—დიდი მამა იოანნე, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ შეიტყო ამ წმიდა მამის ახალი საცხოვრებელი ბინა. წმ. იოანნეს მოწაფეები ფარულად დაიარებოდნენ ქალაქში და ყიდდენ თავიანთ ნახელთ—საქმარებს, და აღებული ფულებით ყიდულობდნენ საჭმელს და ფარულადვე მიდიოდნენ წმ. იოანნესთან. მოწაფეები ყველაფერში ბაძავდნენ თავისს საყვარელ მასწავლებელს: იგინი მუდამ მარხულობდნენ, ევედრებოდნენ ღმერთს. ერთ წამსაც ვერ ნახავდა მათ კაცი უსაქმოდ. მზგავსად დიდი მოციქულის სიტყვებისა, რომელმაც თქვა: ხელნი ესე მსახურებენ მე და ჩემთანა მყოფთ. ყოველივე საქმეს ისინი დიდის მუყაითობით აღასრულებდნენ: ბაგითა თვისითა აქებდნენ უფალსა და გონებათა თვისთა აღავლენდენ ცისადმი. მაგრამ თვით უფალს არ ნებავდა, რომ მის მორწმუნე მონას ასე ფარულად ეცხოვრა. ყოველი მხრიდან მრავალმა ხალხმა იწყო წმიდანთან სიარული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა მოისმინონ მისი მოძღვრებანი და ისწავლონ მისგან სჯული ღვთისა; სნეულნი, რომელნიც ცხედარზე მწოლარე მოჰყავდათ, იღებდნენ სრულს კურნებას, განრღვეულნი იკურნებოდნენ, მწუხარენი იღებდნენ ნუგეშინის ცემას, და იშვებდნენ სულიერად და ხორციელად, ერთი სიტყვით იმდენს სასწაულებს შვებოდა ეს წმ. მოხუცი, რომ ყველა ამაების აღწერა შეუძლებელია კაცისაგან. წმ. იოანე ერიდებოდა კაცთაგან დიდებას და მომეტებულად ამაო წუთი სოფლის ცხოვრებას, ამიტომ ხელ ახლად განიზრახა გადასულიყო სადმე უდაბურ ადგილს, რომ არავის არ მიეგნო იგი, მალე ამის შესახებ ღვთის ნებაც მიიღო. ღვთის-მშობელი გამოეცხადა წმ. იოანნეს, უბრძანა აღერჩია თავის მოწაფეთაგან უფრო ღირსეულნი თორმეტი კაცი და მათთან ერთად წასულიყო ივერიაში, რათა დაემკვიდრებია ეს სარწმუნოებაზე ახლად დაარსებული ივერიის ეკკლესია. მოჩვენება წმ. იოანნემ ამცნო თავისს მოწაფეებსაც და სთხოვა მათ ათი დღის განმავლობაში ემარხულათ და ელოცათ ღმერთი. როცა ეს დრო გავიდა, წმ. იოანნემ შეკრიბა თავისი მოწაფეები და რქვა მათ: «შვილებო და საყვარელნო ჩემნო ძმანო! მე ვხედავ, რომ თქვენ აღვსილნი ხართ ღვთის მადლით და სრულ ხართ ღვთის ყოველ საქმეში! ისმინეთ: მე ვიხილე ყოვლად კურთხეული დედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმაც მიბრძანა მე თქვენ შორის ავირჩიო თორმეტი ძმა და მათთან ერთად გავემგზავრო შორეულს ივერიის ქვეყანაში, რათა მოვიმუშაკო ახლად დაარსებულს ქრისტეს ყანაში, ამიტომ ყველა თქვენ სახელებს დავაწერ ეტრატზე და მათ დავალაგებ ტრაპეზზე და მთელი ღამე გავატაროთ ლოცვაში, რათა უფალმა თვით აღირჩიოს ჩვენ შორის უფრო ღირსეულნი. ამაზე მოწაფეებმა მიუგეს: «წმიდაო მამაო! როგორც გიბრძანა შენ უფალმა, ისე მოიქეცი; მაგრამ ჩვენ მაინც არ მოგშორდებით და სადაც უნდა წახვიდე, ჩვენც თან წამოვალთ! მთელი ღამე მათ გაატარეს ლოცვაში. დილის მესამე ჟამზე წმ, იოანნემ უბრძანა მღვდლებს შეეწირათ უსისხლო მსხვერპლი; წირვის გათავების შემდეგ წმ. მამა ეზიარა და მერე უბრძანა თავის მოწაფეებს აღეპყროთ მაღლა ხელები და წარმოეთქვათ: კირიელეისონ. ეს გალობა გაგრძელდა ერთ საათზე მეტი; ამ დროს ანგელოზმა უფლისამ ყველას შესახედავად აიღო ტრაპეზიდან თორმეტი ეტრატი და ჩაუდვა ხელში წმ. იოანნეს. ამ ეტრატებზე დაწერილი იყო შემდეგ მოწაფეთა სახელები: შიო, დავით, ანტონი, თადეოზ, სტეფანე, ისიდორე, მიხეილ, ფირრა, ზენონ, იესე, იოსები და აბიბო. ნეტარი იოანნე ასე იმიტომ მოიქცა, რომ მოწაფეებს მიდგომილება არ დაეწამებიათ მისთვის და მწუხარება არ დაეწყოთ მათ, რომელნიც უნდა მოშორებოდნენ წმ. იოანეს. ისინი, რომელნიც იქვე უნდა დარჩენილიყვნენ, წმ. იოანნემ შეჰკრიბა თავისს წინაშე მტირალნი და მწუხარენი, ანუგეშა ისინი და შემდეგ რქვა მათ: «შვილებო, თქვენ არ უნდა ეწინააღმდეგოთ ღვთის ნებას; მერწმუნეთ, რომ პირველიდგანვე, როცა თქვენ თქვენს მასწავლებლად აღმირჩიეთ, ყველას ერთნაირად გექცეოდით, ყველანი ერთნაირად მიყვარდით. ღმერთია მოწამე, რომლის ნებაა, რომ თქვენ აქ დარჩეთ და იყვნეთ მისი მორწმუნე. თქვენი ძმების მოშორება ნუ გაწუხებთ, არამედ სიხარულით დაემორჩილენით ღვთის განგებას და მის ჩვენებას, რომ წინააღმდეგნი არ გახდეთ ღვთისა, გთხოვთ ჩვენ თორმეტნივე, რათა შესწყვიტოთ მწუხარება თქვენი. შემდეგ წმ. იოანნემ თავისს მაგიერ მათ შორის აღირჩია ვინმე ექვთიმე წინამძღვრად და მასწავლებლად; მერე, აღიპყრო რა ხელნი თვისნი, დიდ ხანს ევედრა მათთვის უფალს. ლოცვის შემდეგ თითოეული მათგანი სათითაოდ აკურთხა; ბოლოს გამოეთხოვა მათ და აღრჩეულ მოწაფეებთან ერთად გამოემგზავრა საქართველოსკენ.

ამ დროს სიმეონ სასწაულთ-მომქმედი, შვილი წმ. მართასი, სვეტზე სცხოვრებდა. ნეტარმა იოანნემ გზათ გამოუარა სიმეონ სასწაულთ-მომქმედს, მიიღო მისგან ლოცვა-კურთხევა და პირ-და-პირ საქართველოში გამოსწია. გზა მეტად ძნელი და შორეული იყო. დიდი მოგზაურობის შემდეგ წმ. იოანნე და იმისი თორმეტი მოწაფე მოუახლოვდნენ საქართველოს სატახტო ქალაქს მცხეთას. ანგელოზი ღვთისა გამოეცხადა მაშინდელს ქათალიკოსს (პატრიარხს) ევლავის და რქვა: «აი მოვალს იოანნე მონა უფლისა თავისი მოწაფეებითურთ. ის დაამტკიცებს ქრისტეს სარწმუნოებაზე ამ ქვეყანას, რომელიც დამკვიდრებულია წმ. ნინოსაგან. აღსდეგ და შეეგებე მათ სიხარულით, ვინაიდგან ისინი თვით ღვთისაგან არიან გამოგზავნილნი, წინ არ აღუდგე მათ განზრახვას; მათი წინამძღვარი აღვსილია ყოვლივე ქველ-მოქმედებით! ღირსი ევლავი მაშინვე აუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა, გაიყოლა მთელი კრებული და მრავალი ხალხი და შემოსილი გაეგება მათ მახლობელს სოფელში, სურდა შეეტყო, ვინ იყვნენ ეს მონანი უფლისა. დიდ ხანს იცადა აქ, ბოლოს გამოჩნდენ წმ. მამები, ფეხ-შიშველა და ძაძებში შემოსილნი, თავზე ეხურათ ბარტყულა მსგავსად ასურელ ბერთა. როგორც კი დაინახა იგინი ქათალიკოსმა, მაშინვე დარწმუნდა, რომ იგინი არიან, რომელთა შესახებაც გამოეცხადა მას ანგელოზი, მიეგება მათ, გადაეხვია წმ. იოანნეს და რქვა მას: «ჩვენ სასიკეთოდ მოხველი შენ წმ. მამაო!» წმ. იოანნე დავარდა ქათალიკოზის ფერხთა წინაშე და რქვა: „მეუფეო წმიდაო, კურთხეულ არს უფალი, რომელმაც ღირს მყო მე თაყვანი მეცა თქვენი უწმიდესობისათვის. წმიდა იოანნეს მიბაძეს მისმა მოწაფეებმაც და ყველამ მიიღო ქათალიკოსისაგან ლოცვა-კურთხევა.

არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს კაცმა აქ მოხდენილს სასწაულს! როგორ შეიტყეს ღირსმა ქათალიკოსმა და ნეტარმა იოანნემ ერთ-მანეთის სახელები და ან როგორ მოახერხა წმ. იოანნემ ქართულად ლაპარაკი; ეს სასწაული ემზგავსება მოციქულებზე სული წმიდის გადმოსვლას. ჭეშმარიტად საკვირველ არიან საქმენი უფლისა იესო ქრისტესი, რომელმაც მიმადლა თავის მონას იოანნეს მადლი ქართული ენის ცოდნისა, რომელი ენაც მას იმ დრომდე არც ცოდნია, არც გაუგონია და არც უსწავლია. ყველანი, ვინც კი იხილა ეს სასწაული, განკვირდნენ და ადიდებდნენ ღმერთსა, სასწაულთა მქნელს. x)

ქათალიკოსმა ყველას გასაგონად უთხრა იოანნეს: მამაო იოანნე! უფალმა თავისი ანგელოსის პირით მამცნო მე შენი აქ მოსვლა. ვმადლობ მასს, რომელმაც მოგავლინა თქვენ, რათა უხელმძღვანელოთ მრავალთა და მიანიჭოთ საუკუნო ცხოვრება. წმ. იოანნემ თაყვანი სცა ქათალიკოსს და მიუგო: მეუფეო წმიდაო! შენ ემზგავსები სიმშვიდით ქრისტეს, რომლისაგანაც გისწავლია შენ სიმშვიდე ეგე. ჩვენ შენი მონანი, ვმადლობთ უფალსა, რომ შენში ვიხილეთ ასეთი ღირსი მწყემსთ-მთავარი; დიდება დიდებულებასა მისა, რომელმაც ღირს გვყო თქვენი ნახვისა, გვიხელმძღვანელეთ ჩვენ საწყლებს, ვინაიდგან მე უღირსი ვხედავ, შენ, აღვსილს ღვთის მადლით და მასთან, როცა მე მივიღე შენგან ლოცვა-კურთხევა, აღეხვნენ ბაგენი ჩვენნი და ენა ჩემი შენთან სალაპარაკოდ და მსმენელობა — თქვენი წმიდა ბრძანების გასაგონად! ამის შემდეგ ქათალიკოსი ამ წმიდა ძმებითურთ დაბრუნდა უკანვე ქალაქში და წაიყვანა ისინი ცხოველ მყოფელის დი მირონის გამომდინარე სვეტის ტაძარში. წმ. იოანნე თავისი მოწაფეებითურთ დავარდა ცხოველს-მყოფელი სვეტის წინაშე, გაოცებული ამ ღვთის მიერ ამაღლებულ სვეტის სასწაულით. იგინი მადლობდენ და აქებდენ უფალსა, რომ ასე სიყვარულით მიიღეს ისინი. ამის შემდეგ ქათალიკოსმა სთხოვა მათ, რომ იგინი მასთან დარჩენილიყვნენ. წმ. იოანნემ და მისმა




წმ. იოანნე ზედაზნელი

მოწაფეებმა მიიღეს ქათალიკოსის დაპატიჟება. მეფე და ხალხი ისე უცქეროდნენ მათ, როგორც ზეციდან მოვლენილ ანგელოზებს; ყოველ მხრიდან იწყო ხალხმა სიარული წმ. იოანნესთან და მის მოწაფეებთან, რათა მოესმინათ მათგან ქრისტეს სწავლა და თან მოჰყავდათ სნეულნი განსაკურნებლად. ივერიელნი წმ. მამების მოძღვრებით თან-და-თან მტკიცდებოდენ ქრისტეს სარწმუნოებაზე. მათი ქადაგებით განათლდა, თითქმის, მთელი ქართლი; თვით მეფე ფარსმან VI და დიდ კაცობა დაიარებოდნენ ამ მამებთან მათი მოძღვრების მოსასმენად და ლოცვა-

x) [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურთხევის მისაღებად. წმიდა მამებმა მოიარეს ყველა წმიდა ადგილები, სადაც ნეტარი ნინო ასწავლიდა ქრისტეს სარწმუნოებას და თაყვანი სცეს ყველა იმ ადგილებს, რომლებიც შესანიშნავი იყვნენ, ყველგან კითხულობდენ და ჰკრებდნენ ცნობებს წმ. ნინოს ქადაგების და მოღვაწეობის შესახებ და მადლობდენ ქრისტეს, რომელმაც მიანიჭა ქალს ასეთი მოციქულებრივი მადლი. ბოლოს ისინი შეევედრნენ უფალს, რათა ეჩვენებინა მათთვას სამუდამო საცხოვრებელი ადგილი. ცოტა ხნის შემდეგ ნეტარმა იოანნემ იხილა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით, ზადენის მთაზე შავი ღრუბლის მზგავსად მრავალნი ეშმაკნი. წმიდანს გაუკვირდა და უთხრა მოწაფეებს: «შეხედეთ, შვილებო, რასა შვრებიან ის ბოროტი სულნი იმ მთაზე! მე სახეში მქონდა, იმ მთაზე დავბინავებულიყავი, ალბად იმათა სურთ ჩვენი შეშინება, მაგრამ ჩვენთანა არს სახელი ქრისტესი. შემდეგ მიუბრუნდა ბოროტ სულთ და რქვა: «ქრისტეს სახელით გიბრძანებთ თქვენ, რათა გაშორდეთ მთასა მას, და არ გექნესთ თქვენ ბინა იქ, სადაც იცხოვრებენ საწყალი იოანნე და მისი მოწაფენი. ამის შემდეგ წმ. იოანნე მივიდა ქათალიკოსთან და სთხოვა ნებართვა თავისი ძმებითურთ იცხოვროს იმ მაღალს და მიუდგომელს მთაზე, ვიდრემდის ღმერთი უჩვენებდეს მათ სხვა ადგილს. ქათალიკოსმა მიუგო მათ: „წმ. მამანო, ის მთა უნაყოფო, მაღალი და მიუდგომელია და მასთან ამ მთაზე იდგა ზადენის კერპი, რომელიც დაანგრია წმიდა და ნეტარმა ნინომ-ჩვენმა დედამ. ის მთა, როგორც ეხლა ამბობენ, სავსეა თურმე ბოროტი სულებით» ·წმ. იოანნემ და მისმა მოწაფეებმა ამაზე მიუგეს ქათალიკოსს: «იყავნ ნება უფლისა და შენი ლოცვა ჩვენთან: მათი შემწეობით გვაკურთხე და გაგვიშვი ჩვენ. ქათალიკოსმა აღუსრულა მათ თხოვნა. ისინი პირველად მივიდნენ ცხოველს მყოფელ სვეტთან. დაიჩოქეს და დიდ ხანს ევედრნენ ღმერთს.

(შემდეგი იქნება).

---

## შეწირულებანი.

ლახუნდარის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდლის პორფილე კავილაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:»

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემულის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ლახუნდარის ღვთის-მშობლის ეკკლესიას სხვა და სხვა ნივთები და ფული.

აი, შემწირველთა სია:

ფულად შემოსწირეს ხსენებული ეკკლესიის კანკელის მოსაპოებლად: აზ. პართენ ლუკასძე მაჭავარიანმა 50 მ., დიმიტრი ხმაფილესძე გუგუშვილმა 20 მ., ელისაბედ კავილაძისა ცქიტიშვილის ასულმა 10 მ., ეფემია ჩხეიძისა კიკნაძის ასულმა 10 მ., მაგდან მაჭავარიანის ასულმა 10 მ., მარინა მაჭავარიანისა ორჯონიკიძის ასულმა 10 მ., რუსუდან კოვზირიძისა აბაშის ასულმა 10 მ., ვარდისახარ ფიაცხელაძის ასულმა 50 მ.; ნივთები: აზ. ბესარიონ ლუკასძე მაჭავარიანმა ერთი ზარა, ღირებული 70 მ., მეორე გილდის ვაჭარმა მღვდლის შვილიშვილმა ირაკლი მიხაილისძე კავილაძემ ერთი რწყვილი შანდალი, ღირებული 20 მ., გაიანა კოვზირიძისა ტაბატაძის ასულმა პურის საკურთხეველი ჭურჭელი, ღირებული 7 მ., მარინა კოვზირიძის ვეფხვაძის ასულმა (ტაბატაძის ასულმა) დაფარნები ღირებული 5 მ., მელანია ჩხეიძის ასულმა ჩხეიძისამა თანაერსი და ერთი განსაზავებელი, ღირებულნი 3 მ., ერმილე იოსებისძე კოვზირიძემ ჯვარი ტრაპეზისა, ღირებული 5 მ.

საჭილაოის საბლაღოჩინო მაზრის მღვდლის გიორგი აბულაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის «მწყემსი»-ს საშვალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ მნათეს რწმუნებულის ჩემდამო თხმელარის მაცხოვრის შტატის ეკკლესიის გლეხს ნიკო გიორგის ძე ნინიუას, რომელმანც შემოსწირა ამავე ეკკლესიას ქვემოთ აღნიშნულნი საეკკლესიო ნივთები, ღირებულნი 250-ის მანეთის და 60 კაპეიკისა.

აი სია შემოწირულელთა ნივთთა: 450 კვადრ. საჟენი თვალ საჩინო ალაგი ეკკლესიის ეზოთ, ღირებული ათ თუმნად, ეკკლესიის შესაკეთებლად ფულათ ოცი მანეთი, ძველის ეკკლესიის შესაკეთებლად ოცდა ხუთი მან., საცეცხლური კალისა, ღირებული ოთხი მანეთი. საიაზმე თეთრის თიხისა, ღირებული შვიდი აბაზი, ტრაპეზის სამოსისათვის ცამეტი მან., ორი დიდრონი შანდლები დასადგმელი ამბიონზედ: მაცხოვრის და ღვთის-მშობლის ხატების წინაშე, ღირებულნი ჩვიდმეტი მანეთი. სპილენძის ბუკი, ღირებული შვიდი მანეთი, ნოხი და ქეჩა დასაგებათ ამბიონზედ და ტრაპეზის წინაშე, ღირებულნი ათ მანეთად, სპილენძის თუნგი და თითბერის ტაშტი, ღირებულნი სამ მანეთად, გარდამოხსნა ატლასისა, გამოწერილი მოსკოვიდან, ღირებული თვრამეტ მანეთად. რწყვილი ბაირალი ტილოისა შემკული თვისის სამკაულებითა, ღირებული თუთხმეტ მანეთად. ბრინჯაოს ჯვარი პარაკლისის დროზედ საჭირო, ღირებული, ორ მანეთად. გამოსაწერათ გარდამოხსნისა, ბაირალთა და ჯვრისა დაიხარჯა გზის ფულად ექვსი მანეთი და 30 კაპეიკი; ბაირალებისათვის ჯოხების გაკეთება დაუჯდა ექვსი აბაზი, პირსახოცი ორი აბაზისა, ოცდა სამი არშინი ღვინის ფერი სატინა კარგისა კრეტსაბმელისათვის, სამკვეთლოსათვის, საწიგნესათვის და ანალოღიისათვის გადასაფარებლათ ღირებულნი ოთხი მანეთისა და 3 კაპ., სამი არშინი ნახევარი ხავერდი გადასაფარებლათ საკონდაკე ანალოღიისათვის, ღირებული მანეთი და ერთი შაური, თორმეტი არშინი პარკალი გადასაფარებლად ტრაპეზედ და გარდამოხსნისა, ღირებული ექვსი აბაზისა, სამი არშინი ტილო დასაგებად ქვეშე გარდამოხსნისა გამოსვენების დროს, ღირებული მანეთი და ერთი შაური. ამასთან კიდევ აღმითქვა შემოწირვა კარგი ფარჩის ფილონისა.

მღვდლის ვლადიმერ კანდელაკისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის ჟურნალის «მწყემსი»-ის საშვალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ ჩემის და ჩემი მრევლის მხრით ჩემდამო რწმუნებულის ქვაყადის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მრევლთა: ივანე იესეს ძეს ლორიას, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულს ეკკლესიას შემდეგი ნივთები: ხომლი (ანუ ცაზე საკიდი სასანთლე), ღირებული 12 მან., ვარდებით გაწყობილი ღვთის-მშობლის ხატი, ღირებული 2 მ. 40 კ., კანდელი (საკიდი სასანთლე), ღირებული 3 მანეთი და ეკკლესიაში სატარებელი განზალაკი (კრუშკა ზარით) შეწირულებათა შესაკრებად, ღირებული 1 მან. და 20 კაპ., ივანე ზაქარიას ძეს ლორიას, რომელმაც მისცა პირველს ხომლის სასყიდლად 3 მანეთი და მასთან გარეშე სამრევლოთაგანს სოფელსა ნოღაში მცხოვრებელს მღვდლის მეუღლე მარიამ კანდელაკისას კიზირიას ასულს, რომელმაც შემოსწირა საცეცხლური, ღირებული 3 მანეთი და 60 კაპეიკი.

იმედია ამ კეთილ შემომწირველთ მიმბაძველნი აღმოუჩნდებიან ამ ჩემს ღარიბ მრევლში.

ზურბის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის ბართლომე იოსავასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემო აღნიშნულთ პირთ, რომელთაც ჩემი თხოვნა აღასრულეს და შემდეგი საჭირო ნივთები შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ზურბის წმ, გიორგის ეკკლესიას.

აი ამ პირთა სია:

1) ძველი სენაკის ვაჭარმა იაკობ პეტრეს ძემ ლომაიამ შემოსწირა გარდამოხსნა სირმით ნაკერი, ერთი შკაფი ორ თაროიანი, ერთი ხელი დაფარნები და ერთი საცეცხლური ღირებულნი, ფასად ას ოცი მან.

მანვე ლომთიამ შემოსწირა ოთხი ღერი წმ. სამთელი თითო ღერი ხუთი გირვანქიანი.

2) ზუგდიდის ვაჭარმა საბა ქვაჩიას ძემ კემულარიამ—ტრაპეზზე სასვენი ჯვარი სრულის ტანისა ვეცხლისა და ოქროთ დაფერილი, ღირებული ფასად ორმოც მანეთად.

3) ზუგდიდის ვაჭარმა ამბროს დუტუს ძემ კემულარიამ—მაღალი სასანთლე ხისა ვარაყით გაკეთებული, ღირებული ათ მანეთად.

4) ზუგდიდის ვაჭარმა იაგორა გერვოიასძემ რეველავამ—ტრაპეზის უკან დასადგმელი მაღალი სასანთლე ხისა, ღირებული ექვს მანეთად.

5) ზურბის სოფლის მცხოვრებმა სტოლარმა ფილუ ტაბალუამ—ერთი საწიგნე, ღირებული ოც მანეთად.

## განცხადება.

### სახელმძღვანელონი,

**დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.**

**დედა-ენა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახალავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ ყიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

**კოკორი**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კაპეიკი.

**კონა** საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა-ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

**ხომლი**, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

**კუნწულა**, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

**იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

**ხატის მიზეზი?** საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

**ასპინძის ომი** საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით, ფასი ორი შაური

**მირითადი უკუღმართობა**, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

---

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова“ одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ“ одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (смотри „Сборникъ“ распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано „Русское Слово“ духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

15—2.

---

შინაარსი. სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან.—დიადი დღესასწაულობა მოწამეთის მონასტერში 2 ოქტომბერს.—ენკენიობა მათხოჯის დედათა სავანეში 6 ოქტომბერს.—სიტყვა, თქმული არქიმანდრიტის ლეონიდის მიერ, კრწანისის ველზედ სამშობლოსათვის დახოცილ მეომართა სულის მოხსენების დღეს.—ახალი ამბები და შენიშვ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე: ცხოვრება წმიდისა და სასწაულთ-მომქმედისა იოანნე ზედაზნელისა.—შეწირულებანი.—განცხადება.

Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ*, 19 Октября 1895 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр.Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.